[FLUGroup] ტამიფლუს მარაგები

FLUGroup@moh.gov.ge on behalf of Amiran Gamkrelidze <A.Gamkrelidze@ncdc.ge>

Tue 1/15/2019 8:23 PM

To:David Sergeenko <dsergeenko@moh.gov.ge>; flugroup@moh.gov.ge <FLUGroup@moh.gov.ge>;

ბატონო დავით,
კოლეგებო,

მოგახსენებთ რომ დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში თქვენი დავალებით ჩატარდა დამატებითი გაანგარიშებები ტამიფლუს არსებულ და სავარაუდოდ საჭირო მარაგებთან დაკავშირებით წლევანდელი გრიპის სეზონისთვის და წარმოგიდგენთ ჩვენს მოსაზრებებს.

სანდო წყაროებზე დაყრდნობით მოვიძიეთ რამოდენიმე ქვეყნის მაგალითი ტამიფლუს პანდემიურ მარაგებთან დაკავშირებით. მაგალითად, სტრატეგიული მარაგების სახით აშშ-ს ჰქონდა მოსახლეობის რაოდენობის 1-2% გათვლით ანტივირუსული სამკურნალო პრეპარატები (გარდა ამისა, არის გარკვეული მარაგი კერძო სექტორში). თუმცა, ინფექციურ დაავადებათა ასოციაციის მოთხოვნა იყო, გაზრდილიყო მოსახლეობის რაოდენობაზე გადათვლით მინიმუმ 25% და მაქსიმუმ 40%-მდე ეს მარაგები, შესაძლო ბიოტერორისტული საფრთხეების გათვალისწინებით. 2010 წლის შემდეგ აშშ-ში სტრატეგიული მარაგი გაიზარდა 25%-მდე. თავისთავად ამ მარაგების გათვლები ეყრდნობოდა ფრინველის გრიპისა და H1N1 პანდემიური გრიპის საშიშროებებს. ახალ ზელანდიაში, მოსახლეობის რაოდენობის 11%-ზეა გათვლილი ტამიფლუს სტრატეგიული მარაგი.

ჩვენთვის ამ ეტაპზე ვფიქრობთ, ყველაზე მისაღები მაგალითია მექსიკა, რადგან მას ასევე რეფერენსად იყენებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია. მოგეხსენებათ ბოლო პანდემია სწორედ მექსიკიდან დაიწყო და მათ დიდი გამოცდილება აქვთ. მექსიკაში 110 მილიონ მოსახლეზე გათვლილი აქვთ 1,2 მილიონი ოსელტამივირი, ანუ 1.28% მოსახლეობის რაოდენობაზე გადათვლით პანდემიური მარაგი. თუ მექსიკის გამოცდილებას გავითვალისწინებთ საქართველოსთვის, რომლის მოსახლეობაც შეადგენს 3.7 მილიონს, საჭირო იქნება დაახლოებით 47 360 დოზა ოსელტამივირი პანდემიური მარაგის სახით. ცენტრის ექსპერტებთან შიდა კონსულტაციების შედეგად გადავწყვიტეთ, რომ გრიპის სეზონზე (არა პანდემიური, რადგან პანდემია არ გახლავთ) საკმარისად უნდა მივიჩნიოთ პანდემიური მარაგის დაახლოებით 50% , ანუ 20-24 ათასი დოზა სეზონზე.

2018-2019 სეზონზე, გამწვავების შემდგომ ქვეყანაში არსებულ 3000-ზე ოდნავ მეტ (არ ვიცი როგორი იყო სააფთიაქო მარაგი, მაგრამ ალბათ 1000-ზე მეტი არა) დოზას მოგეხსენებათ დაემატა 13 000 (სულ 16 000), საიდანაც დღევანდელი მდგომარეობით გახარჯულია ???----- (ვიცი რომ გაიხარჯა ბოლო 20 დღეში საზოგადოებრივი ჯანდაცვებიდან დაახლოებით 2400 და + საავადმყოფოებიდან და აფთიაქებიდან დაახლოებით 1000-1500 ანუ სულ 4000-მდე).

აქედან გამომდინარე, მივიჩნევთ რომ არსებული მარაგი (13000), ავადობის არსებული ინტენსივობით გაგრძელების პირობებში უნდა გვყოფნოდა სეზონის ბოლომდე. მაგრამ რადგან ტამიფლუს გაცემის არეალი და ფინანსური ხელმისაწვდომობა გაზრდილია და არსებობს გარკვეულად არაჯანსაღი პანიკა მოსახლეობაში და სოციალურ ქსელებში, შესაძლებელია უფრო დიდი ხარჯვა გვქონდეს. კარგად იქნება გასაანალიზებელი ამ კვირის ხარჯვა საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

ამასთან, როგორც სხვა ქვეყნებს ჩვენც რეკომენდებულია გვქონდეს დახლოებით 10-12 000 კოლოფის სტრატეგიული მარაგი მუდმივად. ამიტომ ჩვენი რეკომენდაცია იქნება ამ ეტაპზე შევიძინოთ კიდევ დამატებით 10-15 000 კოლოფი ტამიფლუ, მითუმეტეს, მოგეხსენებათ მას საკმაო ვადა აქვს და თუ არ დაგვჭირდა წელს გვექნება სტრატეგიულ მარაგში.

ვფიქრობ სასურველია თუ ამ საკითხზე ვიმსჯელებთ გრიპის კომიტეტზე და მივიღებთ ერთობლივ გადაწყვეტილებას.

პატივისცემით,

ამირანი